ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის

თავმჯდომარის ბექა ქებულაძის, ამომრჩევლებთან

საანგარიშო შეხვედრის

ოქმი N1

28 ნოემბერი, 2022 წელი, 15 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზი

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, საზოგადოება ,, ბაღისკიდე''-ს წევრები. საანგარიშო შეხვედრა გამართა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრმა, კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ. საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი გია ბასილაძე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი თეა ჯუღელი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბაქარ მახარაძე, ფრაქცია ,, ქართული ოცნების" თავმჯდომარე ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე, ფრაქცია ,, ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე ბატონი დიმიტრი მხეიძე, საკრებულოს წევრები ბატონი მერაბ ჭოხონელიძე, ქალბატონი მანანა ჩიხლაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

საკრებულოს წევრის, კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის ბექა ქებულაძის 2022 წლის(იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა დ სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბექა ქემულაძე. მან აღნიშნა: ,,დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებში, საჯაროობის ფუნდამენტურ პრინციპს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე, როგორც საკრებულოს დეპუტატი, ამავდროულად კულტურის, განთლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის

თავმჯდომარეს, ვალდებული ვარ ყოველწლიური ანგარიში ჩაგაბაროთ გაწეული საქმიანობის შესახებ.

კანონით ნაკისრი კონკრეტული ვალდებულება, რეალურ შესაძლებლობებს გვაძლევს მოსახლეობას მივაწოდო სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაცია ადგილობრივი თვითთმართველობის საკანონმდებლო შტოს საქმიანობის შესახებ. ნდობის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც აშკარად მიმდინარეობს საზოგადოების მხრიდან, ზრდის ჩვენს პასუხისმგერბლობას ჩვენი საქმიანობისა და ამომრჩევლის მიმართ. ჩვენი საქმიანობის ძირეული პრინციპებიც ხომ კანონის უზენაესობის დაცვა და მოქალაქეთა მხრიდან გამოცხადებული ნდობის მაქსიმალურად გამართლებაა!

საანგარიშო პერიოდში რეგლამენტით და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, მე, როგორც საკრებულოს წევრმა და ამასთანავე კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს კომისიებშის სხდომებში. კერძოდ:

1. საკრებულოს , საკრებულოს ბიუროს 13 რიგითი და 4 რიგგარეშე სხდომა.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 9 სხდომა, განხილული საკითხების რაოდენობა 11.
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 20 სხდომა, გამნცილული საკითხების რაოდენობა 67.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია შედგება 12 წევრისგან. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული არის კომისიის 10 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 12 საკითხი. კომისიამ მოისმინა სხვადასხვა ა(ა)იპ-ისა და სამსახურის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.კერძოდ:

1 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის პროგრამების განხილვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

2 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირის ,,ბაგა-ბაღების გაერთიანებაში" არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

3 ქალაქ ქუთაისის მერიის არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირის ,,სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

4 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირის ,, ფოლკლორის ცენტრის -სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

5 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირის ,, ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის'' 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

6 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირის ,,კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

7 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირის ,,სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, 8 თვეში გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

8 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების, 2022წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე.

9 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე.

10 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების,2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

ასევე კომისიამ განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში.

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მნიშვნელოვანია ასევე, ქუთაისელი ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის ჩატარება,

სწორედ ამიტომ, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მუხლი განისაზღვრა 135 600 ლარით. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ წელს პირველად, გაითვალისწინა ადგილობრივ ბიუჯეტში მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების პროგრამა, რომლის ფარგლებში, დაახლოებით, 10 ახალგაზრდა გადამზადდება,ამ კუთხით გამოყოფილია 30 000ლარი.

სოციალურად აქტიური ახალგაზრდებისათვის, წამახალისებელი პროგრამაა ,,ლიდერთა სკოლა", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 14-დან 29 წლამდე სოციალურად აქტიურმა ახალგაზრდამ, მათ გაიარეს სატრენინგო კურსი სახელწოდებით ,,ციფრული სამყარო".

განათლების მიმართულებით, ყურადსაღებია განსაკუთრებული წარმატებების მქონე ახალგაზრდების წახალისება სტიპენდიით, 6 სტუდენტს წლის განმავლობაში ყოველთვიურად ერიცხება 300 ლარი. საჯარო სკოლის სოციალურად დაუცველი და წარმატებული მოსწავლეებისთვის შედგა ბანაკი ორ ნაკადად, ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისთვის , შემეცნებითი ბანაკი -,,მცირე აკადემია". აღსანიშნავია ასევე, რომ ქუთაისის კონსერვატორიის 3 სტუდენტი სწავლას განაგრძობს აშშ-ში ბოსტონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში, 1 სტუდენტი ბრიუსელის სამართლის სკოლაში, რომელთა ტრანსპორტირების დაფინანსება მოხდა ქალაქის ბიუჯეტიდან.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, წლის მანძილზე ხორციელდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები, გაცვლითი გასტროლები, გამოფენები, კონკურსები, ფორუმები. წლის მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახლავთ -,,კულტურის განვითარების სტრატეგია". სტრატეგიის შემუშავების პროცესებში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა ჩვენმა თანააპლიკანტმა ორგანიზაცია ,, Greative Solution"-მა, სტრატეგიის 4 მთავარი მიმართულებაა: ახალგაზრდობა, განათლება, კულტურა და შემოქმედებითი მეწარმეობა.

კულტურის პროგრამიდან წლის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერა აქვთ არტისტებსა და ქურუმებს, მხატვრებს, ადგილობრივ თეატრებს, ანსამბლებსა და ქუთაისში გამომავალ ბეჭდურ გამოცემებს.

სპორტის ქვეპროგრამის მიზანია, სპორტის სხვადასხვა სახეობების წახალისება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ქუთაისელ წარმატებულ სპორტსმენებს წლის განმავლობაში აქვთ ყოველთვიური სტიპენდია შედეგების მიხედვით, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონს 1500 ლარი ყოველთვიურად, მხოლოდ ქუთაისში რეგისტრირებულთათვის დაწესებულია სპორტის რაინდის სტიპენდია 500 ლარის ოდენობით.

ფულადი ჯილდოა დაწესებული საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთათვის.

როგორც, კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარეს, ოფიციალური შეხვედრების გარდა, მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოქალაქეებთან. ხდება მათი პრობლემების და ინიციატივების მოსმენა, უფლებამოსილების ფარგლებში ვცდილობ მოვახდინო რეაგირება მერიის სამსახურებთან შუამდგომლობისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.''

გეგა ორჯონიკიძე: ,, მოგესალმებით, შემოვდივარ ინიციატივით, 2 მაისი გამოცხადდეს დასვენების დღედ.“

ალეკო ბაძგარაძე: ,, საინტერესო ანგარიში წარმოგვიდგინა ბატონმა ბექამ, ასევე სასურველი იქნებოდა 2023 წლი ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები გვეთქვა.“

როზა დვალიშვილი: ,,ჩემი სურვილია ანგარიში ჩააბაროთ უფრო მეტ მოსახლეობას, რადგან იქნება უფრო მეტი ჩართულობა და ინფორმირებულობა.“

ბექა ქებულაძე: ,, ჩვენ მზად ნებისმიერ დროს დაინტერესების შემთხვევაში, შესაბამისად მოწყვლად ჯგუფს მივაწოდოთ დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია.“

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის ბექა ქებულაძის 2022 წლის (იანვარი-ნოემბერი) თერთმეტ თვეში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

ბექა ქებულაძე